მემკვიდრეობა

1921 წლის დასაწყისში დამფუძნებელი კრება თავის მუშაობის დამამთავრებელ ეტაპზე გავიდა, - მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა. გაზეთმა „ერთობამ“ 1921 წლის 1 იანვარს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც დამფუძნებელი კრების ორი წლის მუშაობას აჯამებდნენ. გაზეთ „საქართველოში“ კი დაიწყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის **შალვა ამირეჯიბის (1887-1943)** სტატიების სერიის ბეჭდვა სათაურით „წერილები თეთრი დარბაზიდან“. მოასწრო მხოლოდ ორი წერილის გამოქვეყნება - 12 და 17 თებერვალს... შემდეგ, რუსეთის წითელი არმიის თავდასხმის შედეგად, ვითარება შეიცვალა და წერილების ჩაფიქრებული სერიის გაგრძელების დრო არ იყო.

გამოქვეყნებული ორი წერილის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, შ. ამირეჯიბს ჩაფიქრებული ჰქონდა დამფუძნებელი კრების მუშაობის საფუძველზე დაეწერა ქართული პარლამენტარიზმის არსებული გამოცდილების და პერსპექტივების შესახებ. პირველი წერილი, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული დამფუძნებელ კრებაში სამი თვის განმავლობაში მიმდინარე დისკუსია მთავრობის პოლიტიკის შესახებ, სარკაზმისა და იუმორის დიდი დოზით არის დაწერილი. მეორე წერილში კი სვავს პრობლემას, თუ რამდენად მოახერხებს საქართველო პარლამენტისა და პარლამენტარიზმის დამკვიდრებას იმ არეალში {„აზიაში“), სადაც არ არსებობდა პარლამენტარიზმის ტრადიციები და პარლამენტარიზმის დამკვიდრების მცდელობები მარცხით დამთავრდა (თურქეთი, სპარსეთი, რუსეთი), ხაზს უსვავს საქართველოს სურვილს „გაექცეს აზიას“ და გადაიქცეს ევროპის ყაიდის ქვეყნად. თუმცა საბჭოთა რუსეთის თავდასხმის გამო, მაშინ ამ მცდელობას წარმატება არ ეწერა.

დამფუძნებელი კრება გასულ წელს

საქართველოს აღმშენებლობითი მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს. დიდი რუსეთის რევოლუციამ საქართველოში, რომელიც მაშინ მის ნაწილს შეადგენდა, სულ სხვა სახე და მიმართულება მიიღო, რაც განსაკუთრებით აღინიშნა რუსეთის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

ასე რომ საქართველოში, შეიძლება ითქვას, წარმოებს უკვე არა რუსეთის რევოლუცია, არამედ საქართველოს რევოლუცია, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ისტორიას, ეკონომიკას და საერთოთ საქართველოს შინაგან ძალთა განვითარებას.

გზა დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ არჩეული ჩვენი რევოლუციური მოძრაობის მიერ, წინააღმდეგ უმცირესობის ულმობელ დიქტატურისა და საშინელ ტერორიზმისა, მოითხოვდა სულ სხვა აღმშენებლობით მუშაობას, ვინემ ის რომელსაც რუსეთის სინამდვილეში აქვს ადგილი...

აქედან წარმოსდგება განსხვავებული ხაზი საქართველოს დემოკრატიის მუშაობისა და მაშასადამე განსხვავებული მუშაობა დამფუძნებელი კრებისაც რომელიც ამ დემოკრატიის პირმშო შვილია და მისი ნების აღმსრულებელი საკანონმდებლო სფეროში.

მთავარი დასანუშავებელი საგანი, გასულ წელსაც იგივე ქონდა დამფუძნებელ კრებას, რაც წინა წელს. ე. ი. კონსტიტუცია, უფლებრივი წყობილების საძირკველი, რომელმაც უნდა განამტკიცოს ბატონობა ხალხის უმრავლესობის, და ამით მშვიდობიანი ფორმები მისცეს შინაგან ბრძოლას, ძალთა დუღილს და გადაქმნის პროცესს, რომლითაც ფეხმძიმეა დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა.

განხილვა კონსტიტუციის ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მისი ფორმები და სახე უკვე საკმაოთ ნათელია თვით საკონსტიტუციო კომისიის პროექტებში, რომელმაც საერთო მოწონება მიიღო მთელი დამფუძნებელი კრებისაგან გარდა სამიოდე ფანტაზიორისა.

ასე რომ ჩვენ შეგვიძლია წინდაწინვე ვთქვათ, თუ რა შინაარსი და ფორმა ექნება ჩვენს კონსტიტუციას, რომელიც მოკლე ხანში გადაეცემა ხალხს დასადასტურებლად.

მეორე მთავარი სამუშაო დამფუძნებელი კრების იყო ბიუჯეტის საკითხი. ახალ სახელმწიფოს არ ქონია ბიუჯეტი, არც შეეძლო პირველ წელს იგი წარმოეშვა და თავის ცხოვრების ფინანსიური მხარე ამ მხრივ წინდაწინვე განსაზღვრულ კალაპოტში ჩაეყენებია.საერთო ფინანსიური არევ-დარევა და ეკონომიური ცხოვრების მოშლა, რაც აუცილებელი შედეგი იყო მის და რევოლუციის, ხელს უშლიდა ამ მხრივ დადებით და ნორმალურ მუშაობას.

ამ მხრივ დამფუძნებელმა კრებამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ იმით, რომ დაამტკიცა ბიუჯეტი წარსულ წლის და შექმნა რა ერთგვარი კალაპოტი ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისათვის, შესაძლებელი გახდა უკვე ბიუჯეტის ფარგლებში მუშაობა, რამდენათაც მას არ არღვევს ულმობელი პირობები ეკონომიური კრიზისის და ბონების ფასების დაცემის. ფინანსების მოსაწესრიგებლად და სამნეო ოპერაციების გასაჯანსაღებლად შეიქმნა დებულება სახელმწიფო ბანკისა, რომელმაც უკვე დაიწყო წელს მოქმედება. ეს ბანკი, შექმნილი დამოუკიდებლობის ნიადაგზე და დაქვემდებარებული პირდაპირ საკანონმდებლო დაწესებულებებზე, ეჭვი არაა მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებაში და ფულის ტრიალის მოწესრიგებაში.

გარდა ამ მთავარ მუშაობისა დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა მრავალი კანონები და დეკრეტები მომქმედ კანონების შესაცვლელად ახალი საფუძვლის ჩასაყრელათ უფლებრივი ცხოვრებისათვის და ამ რიგათ შესაძლებელი გახდა შექმნა საერთოთ კანონთა გადამსინჯავ კომისიის, რომელიც მოწოდებულია ყველა ჩვენში მომქმედი კანონები დემოკრატიულ პრინციპების და დამფუძნებელი კრების მიერ აღიარებული ძირითადი დებულებების მიხედვით გადაამუშავოს და ამ რიგათ ახალი, რევოლუციის მიერ შექმნილი დემოკრატიული პირობების შესაფერი უფლებრივი ნორმები მისცეს ხალხს თავის ცხოვრების გარეგნულათ მოსაწესრიგებლად.

დიდი და რთული მუშაობა დასჭირდა დამფუძნებელ კრებას აგრეთვე გადასახადთა და ბაჟების სისტემის დასამუშავებლად ყოველდღიური მიმდინარე საჭიროებანი და საერთო დემოკრატიული მოთხოვნილებების შგუება, შეთანხმება, მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფრთხილეს, მუშაობის და კანონმდებლობას. ეს რამდენიმეთ უკვე დაამთავრა დამფუძნებელმა კრებამ, რამდენიმეთ კი უკვე დამუშავებული აქვს და მისაღებათ გამზადებული, და ახალმა წელმა ამ მხრივაც უნდა დაუყონებლივ დააგვირგვინოს ის, რაც დღემდე კეთდებოდა. წარსული წლის დასასრული არ არის ამავე დროს წლის თავი დამფუძნებელ კრების, მისი მოქმედების დამთავრებულ წლიურ სახეს ჩვენ მივიღებთ მხოლოდ მარტში, რომლის 12 რიცხვს შეუსრულდება მას ორი წლის თავი და ჩვენ სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ვადაში დამფუძნებელი კრება დაამთავრებს იმ მთავარ სამუშაოებს, რომლისთვისაც ის მოწოდებულია და მეორე წლის თავს ამ გვარათ შეხვდება თავის ამომრჩევლებს - საქართველოს დემოკრატიას, საქართველოს ხალხს სრული ანგარიშით, რომელიც დააგვირგვინებს მის ამ ხნის განმავლობაში მოღვაწეობას.

„ერთობა“, 1 იანვარი 1921 წელი, N 1, გვ.1

შალვა ამირეჯიბი

წერილები თეთრი დარბაზიდან

წერილი პირველი

ძვირფასო მკითხველო! მე ვიწყებ ამ წერილებს სწორედ იმ დროს, როცა ეს ეს არის დამფუძნებელ კრებაში მთავრობის პოლიტიკის კამათი დამთავრდა. ეს კამათი თითქმის სამი თვე გაგრძელდა. თანამედროვე ევროპამ, რომელიც მღვრიე ღრუბელს ჰგავს, ამ ხნის განმავლობაში სხვა სახე მიიღო. ვიდრე ჩვენ ჩვენი ბრძენი მთავრობის პოლიტიკაზე ვმსჯელობდით, კონსტანტინე ისევ საბერძნეთის ტახტზე დაბრძანდა და მით ერთი მონარხი კიდევ შეემატა ევროპას. საფრანგეთში ლეიგი დაეცა, სომხეთმა დამოუკიდებ-

ლობა დაკარგა, თვით საქართველომ კი დამოუკიდებლობა მოიპოვა. აი მთავარი მელოდიები მსოფლიო პოლიტიკისა, რომლის განმავლობაში ჩვენი კამათი ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე, მხოლოდ უშნო არ პეჯიო იყო მსოფლიო პოლიტიკის ამ ლეიტ-მოტივისა, პარლამენტარულ ქვეყნებში მთავრობის ვოტუმის საკითხი ოცდა ოთხი საათის საკითხია. ან მთავრობა არ ვარგა და ხმების დათვლა ერთი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს, ან მთავრობა ვარგა და მაშინ მთავრობის მოცდენა უბრალო ლაპარაკით, როცა ჩვენს დროში ყოველ მთავრობას აუარებელი საქმე აქვს - მხოლოდ თამაშია ხალხისა და სახერლმწიფოს ნერვებზე. ასე ესმით საკითხი პარლამენტარულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მართლა პარლამენტარული არ ყოფილა, როგორც ამტკიცებდა ამას ჟორდანია და ჩვენს კურთხეულ დემოკრატიულ ქვეყანაში საპარლამენტო წესებიც სხვანაირი აღმოჩნდა. ჩვენ ვილაპარაკეთ, როგორც უკვე ვსთქვი, სამი თვე და, რადგანაც სამ თვესაც ბოლო აქვს, დამფუძნებელი კრების კამათიც დასრულდა მთავრობის სრული გამარჯვებით და დღეის იქით ჩვენა გვყავს მთავრობა, რომელიც მთელი პარლამენტის სრული ნდობით სარგებლობს.

წინააღმდეგის მოლოდინი არც არავის ჰქონია. მთელი ქვეყნის სამაგალითოდ, ჩვენს პარლამენტს ისეთი უმრავლესობა ჰყავს, რომელიც არ საჭიროებს ისეთ რამესაც, რასაც სხვა პარლამენტებში ხმის დათვლა ჰქვიან. ჩვენ შეგვეძლო ჩვენი კვესტორების დათხოვნა რომელთა მოვალეობა ეს ხმის დათვლაა, რადგანაც ჩვენი პარლამენტის უმცირესობაც და უმრავლესობაც ერთ და იმავე კაბალისტურ რიცხვისაგან შესდგება, რომელიც, არც მატულობს, არც მცირდება. ამას გარდა მთავრობის სერიოზულად დამხობას, კაცმა რომ მართალი სთქვას არც არავინ ფიქრობდა. მარტო ერთი დეპუტატი შენგელაია ამისთვის საკმაო არ არის, ფედერალისტებს კი, რომელთაც ხანგადასულ ქალწულისებ გულში ყოველთვის ერთი სურვილი აქვთ: როდის გაიტაცებს მათ ჟორდანია და **დასვამს თავის სესალში,** სულაც უნდოდათ დამფუძნებელ კრებიდან წეასვლა, მას

შემდეგ, რაც მათმა დეპუტატმა ნუცუბიძემ დეპუტატ ჩხიკვიშვილის კერძო ღვინო ბოთლიდან სამოვარში გადაასხა.

თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ საქართველოს იურიდიული ცნობა ევროპის სახელმწიფოთაგან სწორედ ამავე დროს მოხდა, ჩვენი მთავრობა კი ჩვენი ძველი და სულელი ღმერთებივით ყოველ კარგსა და კეთილს თავის თავს აწერს - თავის-თავად ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობა თავის ადგილზე დარჩებოდა. საქართველოს ყოველ ჭეშმარიტ შვილს ეს ამბავი უზომოდ უნდა ახარებდეს. მე მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს ამ მთავრობისათვის მოკვდეს, თუ რესპუბლიკის მტრის ტყვიისაგან არა - ერაძის პურით მაინც!

ამ კამათის დროს კულუარებში ბევრს ლაპარაკობდენ, რომ ერაძის გამოსვლა ჟორდანიას დიდათ მოეწონა. ამის ცოდნა საჭიროა იმ მხრივ, რომ ამ გამოსვლამდე მტკიცე აზრი ერაძეზე თვით ჟორდანიასაც არ ჰქონია. და კაცმა მართალი უნდა სთქვას, რომ ერაძემ არც პირადათ ჩემზე მოახდინა ცუდი შთაბეჭდილება. ის დაბალია, რგვალი, სახე პლებეისა აქვს, მაგრამ კეთილშობილი. ლაპარაკობს მშვენივრად და არც ისე ჩქარა, როგორც მეორე მცოდნე ჩვენის მომარაგებისა, დეპუტატი თედო ღლონტი. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ხაზია მინისტრის ხასიათისა, თუ კი მას აზრადა აქვს დამფუძნებელი კრება ლაპარაკით დაღალოს. ერაძე ლაპარაკობდა მილიონ ფუთ პურზე, სტერლინგებზე, ტონაჟზე, დარბაზში ნაზუქის სუნი იდგა, მინისტრ რამიშვილის ლოჟაში ყოფნა დარბაზს კონსტიტუციურ გარანტიებით ავსებდა, კედიას და ფაჩულიას სულები, ეგვიპტურ ჩიტების სახით თავს გვევლებოდნენ და მეც ვფიქრობდი: ღმერთო, ღმერთო, ტირიფონის ველისავ, სადაც მშვენიერი დეკა და პური მოდის, მომეცი ნება მოვკვდე ამ სამშობლოსათვის და ამ მთავრობისათვის, მაგრამ ნუ დამმარხავთ დიდუბის პანთეონშუ, რომ ჩემმა ძვლებმა სიახლოვეც კი არ იგრძნონ ქვიშით სავსე ტომრისა, რომელსაც მომარაგების მინისტრი ჰქვიან!

გაზ. „საქართველო“, 12 თებერვალი 1921, N 33, გვ.2

წერილი მეორე

ჩვენს დამფუძნებელ კრებას, როგორც პარლამენტს, გარდა ქართული პოლიტიკის საკითხებისა და კანონმდებლობისა, ერთი პრობლემაც აქვს გადასაწყვეტი. შესძლებს თუ არა პარლამენტი და პარლამენტარიზმი აზიაში თავის დამკვიდრებას? ეს დიდი პრობლემაა, რადგანაც პარლამენტებმა სპარსეთსა და ოსმალეთში, ამ ტიპიურ აზიურ ქვეყნებში, ნაყოფი ვერ გამოიღეს. პარლამენტი ვერ დამკვიდრდა ისეთ შედარებით დაწინაურებულ აზიურ ქვეყანაშიც, როგორც არის რუსეთი და პარლამენტის ნაცვლად იქ საბჭოთა სისტემა განვითარდა. რუსულ ამბების მიზეზი სოციალიზმსა და კომუნისტურ იდეებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ რუსულ ბუნების აზიელობაში. ვიდრე რუსეთში სათათბირო არსებობდა - მას რეკავდა მეფე ზეიდან, როცა შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, ის გარეკა ხალხმა ქვეიდან. ამრიგად ორი აქტიური ძალა რუსეთში - მეფე და ხალხი - პარლამენტ ვერ იგუებდა. სად უნდა მოვძებნოთ მიზეზი, თუ ჩვენშიც, საქართველოში, პარლამენტი ბერწი პანდარას მუცელი გამოდგა. ამის მიზეზი ჩვენშიაც ის იქნება, რასაც ევროპიელები აზიელობას ეძახიან.

პარლამენტი ისტორიულად ევროპიული მოვლენაა. უფრო მეტიც - ის ლათინთა ხალხების დაწესებულებაა. კორტესები ესპანიაში, პარლამენტები და გენერალური შტატები საფრანგეთში, ჯერ კიდევ მაშინ დაწესდა, როცა ამ ქვეყნებში კონსტიტუციური უფლება შემოსული არ იყო. საფრანგეთის ეროვნული კრება იგივე გენერალური შტატები იყო, რომელმაც მეფისა, თავად-აზნაურობასა და სამღვდელოების ინტრიგების ასალაგმავად რეგლამენტი შექმნა და თავისი თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადა.

აზიაში? აზიის ისტორიას არ ახსოვს რეფორმაციის, გლეხთა ომების და რევოლიუციების მაგვარი რამ. აზია სამშობლო იყო ყველა დიდი რელიგიების, აზიის სიბრძნე, პოეზია, არხიტექტურა მონუმენტალობამდე ავიდა, მაგრამ ყველაფერი ეს თითქმის რეალურ ქვეყნის გარეშე იდგა. ყველა ამას ზღაპრის ხასიათი ჰქონდა. ნებას,

დისციპლინას და გამოყენების უნარს, ამ უდიდეს ევროპიულ ნიჭს, აზიაში ადგილი არ ჰქონია, ხელს აზიაში არაფერი არ გაუკეთებია. აზია გავდა ქვით სავსე კალათას, რომელშიც ხელის ჩაყოფა ამ ქვების დასალაგებლად მიზანშეუწონელი რამ იყო. მისთვის გარედან უნდა გეკრათ შუბი, რომ ქვები ბუნებრივად თვითონ დალაგებულიყვნენ, და აი ამ როლში გამოდიოდენ აზიის გამოჩენილი დამპყრობელნი. რა არის დეკადანსი, რა არის რენესანსი - აზიამ არ იცოდა. ფირდუსს შეეძლო ეცხოვრა უსასტიკეს შახის დროს და უმაღლესად ჰუმანურ რელიგიის გამოცხადების დროს შესაძლო იყო ხალხთა დიდი გადასახლება - ეს მსოფლიოს უდიდესი აწიოკება - მომხდარი იყო.

და აი, ასეთ ქვეყნის მიჯნაზე და მაშინ, როცა ჩვენ თითონა ვართ აზიელები, ჩვენ ვაარსებნთ ისეთ წესწყობილებას, რომელიც ყოველთვის უცხო იყო ევროპისათვის, ამ გაცილებით დიდ ქვეყნისათვის. ჩვენი ბრძოლა რუსულ კომუნიზმთან ბრძოლაა სწორედ ამ აზიელობასთან და ჩვენ უნდა ხელახლად დაუმტკიცოთ კაცობრიობას, რომ ყველაფერი აზიიდან გამოვიდა. აზიიდან გამოვიდნენ თვით პარლამენტარულად მოწყობილნი დღევანდელი ევროპიელნი და ჩვენც მოვრბივართ იქიდან, მოვრბივართ, რადგანაც მოგვწყინდა აზიელობა და გვსურს შემოქმედება პიროვნული, საზოგადოებრივი, ეროვნული და არა მატერიკული, ტირანული და ნირვანული.

გაზ. „საქართველო“, 17 თებერვალი 1921, N 37, გვ.4